№ 137, ივნისს 28, პარასკევა. 1866—1885 ივნისს 28, პარასკევა. № 137

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] ნებისა ითვლება მათგან [illegible] ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთის „დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

**ფასი ხუთი მანათი**

სოფლის მასწავლებელთათვის

**ოთხი მანათი**

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დაახქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

## სამღვდელოების საგანი

გაბრიელ ეპისკოპოზსა ჰსურს თავისი საჭყსო დასტოვოს და სხვა რომელიმე რუსეთის ეპარქია მიიღოსო. ამ ხმამ შეაწუხა სრულიად საქართველო. ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ეს ამბავი გამართლდეს...

რა თქმა უნდა, ამ ოც-და-ათის წლის განმავალობაში სწავლა-განათლებამ დიდი ცვლილება მოახდინა ჩვენში; ახლა ყოველ-გვარს საზოგადო ასპარეზზე გვყვანან მომქმედნი პირნი, რომელთაც არა თუ მარტო საშუალო, არამედ უმაღლესი განათლება მიუღიათ. შესდგა წრე, რომალსაც „ახალ-თაობას“ დაერქვა მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ამ სახელს ჩვენ გუშინდელ გამოჩეკილ ყმაწვილებს ვუწოდებდეთ. არა! — «ახალ თაობას» ჩვენ ვეძახით ყველას, მოხუციც რომ გინდ ყმაწვილი, ვინც გამსჭვალულია ახალის დროების სამსახურით. ყოველს ქვეყანაში და ყოველს დროში ნასწავლი და განათლებული კაცები ყოფილან მეთაურნი: იმათ დაუსახავთ იდეალი, იმათ უჩვენებიათ გზა და საშუალება, თუ როგორი და რა გვარი სამსახურია ქვეყნისთვის სასარგებლო. ეს თითქმის საზოგადო კანონია და, რასაკვირველია, ჩვენს ქვეყანაშიაც ეს კანონი კანონად დარჩება. სწავლა მიღებულნი და განათლებულნი კაცები გამოვიდნენ ასპარეზზედ და შეუდგნენ იმ გზის გაკაფვას, რომელზედაც მსვლელობა საკეთილ დღეოა ჩვენთვის... და ვინც ამ გზას გაჰყვა ყველა ახალ-თაობის გუნდში მოჰყვა მაშასადამე ხნოვანებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როცა ახალ-თაობაზე ვლაპარაკობთ. თითქმის ყოველ გვარს ჩვენს საზოგადო ასპარეზზე ნახავთ ნასწავლს და განათლებულს მშრომელებს; მხოლოდ ერთი სარბიელი დაგვრჩა უყურადღებოდ და ამ სარბიელს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის: ჩვენ ვამბობთ სასულიერო უწყების შესახებ.

ვისაც კი უმაღლესი განათლება მიუღია, თითქმის ყველა გვერდს უვლის ამ წოდებას, ასე რომ ჩვენ მღვდელ-მონოზონთა შორის ძლიერ ცოტას იპოვით ისეთებს, რომელთაც შეეძლოსთ ღირსეულად დაიჭირონ, მაგალითად, ეპისკოპოზის კათედრა. სულიერ მამებს მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ ქართველ ერისათვის: ისინი იყვნენ სულით ამაღლებულნი, ზნეობით გამმაგრებელნი ერისა ყოველ-გვარ გაჭირებაში; იმათ დიდი ღვაწლი მიუძღვისთ მამულის წინაშე; საუკეთესო მწიგნობარი და ნასწავლი ქართველი ძვირად ასცილდებოდა სასულიერო წოდებას. ამისი მიზეზია, რომ ჩვენ ეგრეთი მდიდარი ღვთის მეტყველების ლიტერატურა გვაქვს; სხვათა შორის ამითივე აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენ დღემდი თავი შევიმაგრეთ და არ დავეცით, არ გავიქელიტეთ ბედის უკუღმა ტრიალის გამო.

როგორც უწინ გვექირებოდა, ისე დღესაც გვეჭირვება განათლებულნი და ნიჭიერნი მწყემსნი, რომელთაც დროს შესაფერად უნდა გვიწინამძღვრონ, იმედი გაგვიმაგრონ, ზნეობით გაგვაცხოველონ, შთაგვინერგონ ის გრძნობანი და აზრები, რომელნიც დასაბამიდამვე ყოფილან ჩვენი მშველელნი და დამფარველნი; ისინი უნდა შეადგენდნენ ჩვენის ცხოვრების ლამპარს, ისინი უნდა გვინათებდნენ გზას, ბნელით მოცულს...

დღეს განათლება შემოვიდა, გონებით გაითარდა ხალხი, საზოგადოება. მაშასადამე მხოლოდ განათლებულს, გონებით განვითარებულს და თავისი მამულისათვის თავ-განწირულს მოძღვარს შეუძლია მეთაურობა, ღირსეულად წინამძღვრობა.. ჩვენ ნასწავლ ყმაწვილ-კაცებმა უნდა მიიღონ ეს მხედველობაში და არ აუქციონ გზა სასულიერო წოდებას...

---

## ორი მეგობარი

მოთხრობა გიუ დე-მოპასანისა.

პარიჟს მტრის ჯარი გარშემო ერტყა... სიმშილისაგან სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. საჭმელი სრულიად აღარა ჰქონდა; ჩიტებიც კი აღარ სჩნდებოდნენ ბანებზედ...

ერთს მოწმენდილს, მშვენიერს დილას, ბ-ნს მორისოს ხელები შარვლის ჯიბეში ჩაეწყო და მშიერის კუჭით ბულვარზედ დასეირნობდა.. მას წინ ერთი თავისავით უქმად მოსიარულე კაცი შემოეყარა, რომელიც შემდეგ მისი მეგობარი გამოდგა.

— ჰაცო! ეს ხომ სოვაჟია?

მათ ერთმანეთი მდინარის ნაპირზედ გაიცნეს. ომას დაწყობამდის მორისო ყოველ კვირა დღეს განთიადისას იღვიძებოდა, ხელში ჯოხს დაიჭერდა და არჟანტეილის რკინის გზის ვოკზალისაკენ გაემგზავრებოდა ხოლმე. მატარებელს იგი კოლომბამდის მიჰყავდა და იქიდამ კი ფეხით მიდიოდა მარანტის კუნძულამდის. როდესაც კი მივიდოდა დანიშნულს ადგილას, მაშინვე თევზების ჭერას შეუდგებოდა ხოლმე და შუაღამემდის არ ათავებდა. ყოველ კვირა დღეს მას იქ დაბალის ტანისა და მხიარულის სახის კაცი ხვდებოდა. ეს ბ-ნი სოვაჟი იყო, პატარა დუქნის პატრონი და ისეთივე თევზაობის მოყვარული, როგორც თვით ბ-ნი მორისო. ხშირად მთელს დღეს ერთად ატარებდნენ, ანკესები ხელში ეჭირათ და ფეხებით წყალს აჰყაპუნებდნენ. რასაკვირველია, მათ ერთმანეთი მალე გაიცნეს და დამეგობრდნენ. თევზაობაში ხანდისხან დღე ისე გავიდოდა, რომ ერთმანეთს ხმას არ გასცემდნენ; ხანდისხან კი მთელს დღეს ლაპარაკობდნენ; მაგრამ ლაპარაკი რა საჭირო იყო, მათ ისედაც ესმოდათ ერთი ერთმანეთის აზრი; მათ ორივეს ერთი და იგივე სურვილი ჰქონდათ, ერთი და იგივე ლტოლვილება, ერთი და იგივე გულის ღელვა და კმაყოფილება.

ხან-დის-ხან, გაზაფხულზე, როდესაც მზის შუქი წყალს ალაპლაპებდა და მათ ორივეს ზურგს უთბობდა, მორისო ეუბნებოდა თავის მეზობელს:

— რა მშვენიერებაა და!

რაზედაც სოვაჟი მიუგებდა:

— სწორედ!... უკეთესს ვერაფერს წარმოვიდგენ.

ამის შემდეგ ჩუმდებოდნენ: ეს რამდენიმე სიტყვა სრულიად საკმაო იყო, რომ ერთმანეთის აზრს მიხვედრილიყვნენ. შემოდგომაზე, საღამოობით, როდესაც ცაზედ მავალი ღრუბელნი მზის სხივისგან ვარდისფერად ღვიოდნენ და ამავე ფერად მთლად მდინარეც ილებებოდა, როდესაც ცის დასავალი ბრწყინავდა და ცეცხლის ალისავით ნათელი ეფინებოდა ჩვენს მეგობრებს, მინდორ-ველს, მთისა და ხეების წვერებს, სოვაჟს გული გრძნობით ევსებოდა და ტკბილის ღიმილით ეუბნებოდა მორისოს:

— როგორი სურათია!!

აღტაცებული მორისოც მიუგებდა.

— დიაღ, ნისლიანს დღეს სჯობიან... რაღა თქმა უნდა!

და აი ისინი ერთმანეთს შეხვდნენ; ერთიერთმანეთს სიამოვნებით გადაეხვივნენ და მხოლოდ იმაზედ სწუხდნენ, რომ ამისთანა გაჭირვებულს და სამწუხარო დროს ნახეს ერთმანეთი. სოვაჟმა ღრმად ამოიოხრა და მწუხარედ წაიჩურჩულა:

— რა ნაირი დროა და!.. ვინ მოიფიქრებდა ამას?

რაზედაც მორისი უფრო მწუხარე ხმით ეუბნებოდა.

— ჰო, ჰო!.. რა საზარელი დროა... მაგრამ რა მშვენიერი დღეა დღეს!

მართლაც ცა მოწმენდილი იყო და ლურჯად კამკამებდა.

მეგობრები გაჩუმებულები ერთად წავიდნენ...

— თევზაობა?.. ა? განა სასიამოვნო მოსაგონარია?—უთხრა მორისმა, რაზედაც სოვაჟმა უიმედოდ მხრები აიწია და სთქვა:

— ნეტა ჩვენ იმ ადგილს როდის-ღა ვნახავთ?

მეგობრები ერთს ყავახანაში შევიდნენ, სადაც არაყი დალიეს და შემდეგ ისევ პარიჟის ქუჩებში და ბულვარზედ დაიწყეს სიარული.

მორისო უეცრად შესდგა.

— რას იტყვი სოვაჟ, ნუღარ წავალთ სათევზაოდ?

— რატომ, თუ შენი ნებაც იქნება, ბ ნო მორისო...

იგინი ახლა სარდაფში ჩავიდნენ და ცოტა ხნის შემდეგ იქიდამ კარგა შექეიფიანებულნი ამოვიდნენ.

სოვაჟი, რომელიც უფრო დაითრო, რაკი თბილი ჰაერი მოხვდა, ძალიან ტორტმანობდა, მაგრამ თავის ამხანაგი შველოდა, რომ არ წაქცეულიყო. მაგრამ, აი, კიდევ შესდგნენ.

— რა იქნება მერე, იქ რომ წავიდეთ?. ჰკითხა ლუღლუღით ერთმა მეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაური ქრონიკა

—

დუშეთითგან გვწერენ: ამ დღეებში ქ. დუშეთში საოლქო სასამართლოს განყოფილება იყო; მეტისმეტად მცირე ხანის გამო ყველა დანიშნულის საქმეების განხილვა ვერ მოასწრეს და იძულებულნი იყვნენ გადაედოთ. სხდომის უკანასკნელს დღეს განსახილველად თითქმის ოცდა-ათამდის საქმე იყო დანიშნული, რომლითგანაც ნახევარზედ უმეტესი ვინ იცის სროდიოდ გადაიდო. საოლქო სასამართლოს წევრები, უკეჯ-კვლეის მეტის შრომით, იქამდის დაქანცულიყვნენ, რომ საქმის გარჩევის დროს ზოგიერთებს თვლემაც-კი დააწყებინაო. ხალხი ძალიან ემადლიერება ამ გვარის გაგრძელებისათვის, მეტადრე ისინი, ვისაც ან საზოგადოდ საქმის გაგრძელება უყვარს, ან შემდეგში ცვლილებას რასმე მოელისო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ერთს დედაკაცს, დუშეთის ახლად აშენებულის ეკლესიისათვის შეუწირავს ძველათგან ძველი და ძვირფასის თვლებით მოჭედილი ღვთის მშობლის ხატი, რომელსაც ეხლა უკან ედავებაო. იმედიაო, რომ როგორც დუშეთის საზოგადოება, აგრეთვე სასულიერო წოდების მმართველობა ყოველს ღონის-ძიებას იხმარებს, რომ ორ-რიგად ძვირფასი და ხელოვნურად გაკეთებული ჩვენის წარსულის სახსოვარი შეირჩინოსო.

ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ერთმა მოხევემ გველეთელი ქისტი მოჰკლაო. ეხლა გვატყობინებენ, რომ მოკლულის სამი ამხანაგი აქამდის დაჭერილები არიანო და თუმცა ამ ყელის-ჭრა მუშაობის დროს ოჯახობას სცდებიან, მაგრამ ჯერ საქმის გამოძიების შესახებ ჩამი-ჩუმიც არ არისო.

ბორიდამ გვწერენ, რომ იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყანა ერთს ფაცა-ფუცში ხოლერას ღირსეულად შეეგებოს—გორელები ყურს არ იბერტყავენო. ქუჩები და სახლის ეზოები ისე უსუფთაოდ და უფაქიზოდ აქვთ შენახული, რომ გეგონება მათ თავის დღეში ცოცხი არ მიჰკარებიაო, ეს კია მე და ჩემმა ღმერთმა, რომ დიდ ქუჩას მალი-მალ ასუფთავებენო.

ამ თვის 24-ს შორაპნის მაზრის სოფ. ხარაგაულში მომხდარა ერთი ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი. ერთს იქაურს თვრამეტ-ცხრამეტი წლის აზნაურიშვილს ზ... ა. ძეს დაუჭრია თავისი დედინაცვალი და თავისი ოთხის წლის ძმა; დედი-ნაცვალს რვა მძიმე ჭრილობა აქვს და ბავშვს ოთხიო. დამნაშავე მაშინვე გაქცეულა და დღევანდლამდის არ იციან სად არი, თუმცა პოლიცია გულ-მოდგინედ ეძებსო.

ველის-ციხიდამ გვწერენ: «კაცი ვერ წარმოიდგენს რა გაჭირვებაში ვართ დღეს ველის-ციხელები ფოსტის სიშორისა გამო. წერილის მიწერას რომ აპირებდე სადმე, აუარებელი დამაბრკოლებელი მიზეზნი ამოგიჩნდებიან: თუ ერთი ორი დღის წინად არ გაიტანე წერილი ფოსტაში მერე ველარ მოასწრობ. თუ წყალი მოდის ხევზედ და, მაშინ ხომ სრულებით მოგვესპობა ხოლმე ფოსტამდისინ მიღწევა და რაც უნდა გაჭირვებული საქმე გქონდეთ, ფოსტით ველარას მოახერხებ. ჩვენ გვგონია, დიდს ხარჯს არ მოითხოვდა, რომ ფოსტის მმართველობას ერთი საფოსტო ყუთი ჩამოეკიდა თვითონ ველის-ციხეში».

მმათა ნობელის ამხანაგობას ბაქოში ამ ჟამად, როგორც „კასპი“ იწერება, სამოცდა-ორი ათასი ფუთი დაწმენდილი ნავთი გამოჰქონდა ყოველ დღეღამესაო.

«მოსკოვის უწყებანი» გვაცნობებენ, რომ მთავრობისაგან დამტკიცებული კამპანია ამ ახლო ხანში შეუდგება ლენქორანის ახლოს შაქრის ქარხნის აშენებასაო. ამ კამპანიის თითო აქცია 1,500 მ.ნ. ღირს.

«ნოვოე ობოზრენიეს» გაუგონია, რომ გალუსტოვის სუთის წლის ქალის მკვლელს ჯ.-ვახოვს უთქვამს: მოხდენილს დანაშაულობაში, დედახემსაც წილი აქვსო, იმან წამაქეზაო. თუმცა შვილის დაბეზღებაზედ დედას უარი უთქვამს, მაგრამ მაინც დაუტუსაღებიათ.

---

## უცხოეთი

ინგლისი. გაზეთები დიდს ყურადღებას აქცევენ ამ ჟამად სალისბერის ორგანის «Morning Post»-ის განცხადებას, რომ კონსერვატიული კაბინეთი ყოვლის ღონით ეცდება მჭიდრო კავშირი ჩამოაგდოს ლონდონისა, ბერლინისა, ვენისა და რომის კაბინეთებ შორის. პეტერბურგის კაბინეთზე სიტყვაც არ არის ნათქვამი და ეს გარემოება—პეტერბურგის კაბინეთის გამოკლება იმ კაბინეთთა სიიდამ, რომლებთანაც ლონდონის კაბინეთს მეგობრულის კავშირის განმტკიცება სწადიან—მშვიდობიანობის შენახვისათვის სანუგეშოდ ვერ მიაჩნიათ გაზეთებს. ბუშინწინდელ დეპეშიდამ იმ დასკვნას გამოვიყვანდით, რომ სალისბერიც არ ყოფილა უარზედ მორიგებით გაათავოს რუსეთთან საქმე, მაგრამ ეს მორიგება უნდა იყოს სასარგებლო ინგლისის ინტერესებისათვის, ინგლისის ღირსებასა და სახელს არავითარი ზიანი არ მოუტანოს ამ მორიგებამ.—«რეიტერის სააგენტოც» იწერებოდა ამას წინად, რომ მოხდება მორიგება და მოხდება თუ არა იგი—ეს ჯერ კიდევ საკითხავია—დასძენს ხსენებული სააგენტო...

— მართლაც რომ ძნელად გასაგებია ის ალტაცება, რომლითაც ირლანდიელნი შეეგებნენ ახალის კონსერვატიულ სამინისტროს გამეფებას ინგლისში. ზადამდგარმა ლიბერალურ სამინისტრომ დიდი ღვაწლი დასდო

---

— სადა?—უთხრა მეორემ.

— იქვე...

— სად იქვე?

— სათევზაოდ.

— კუნძულზედ?

— დიაღ, ჩვენს კუნძულზედ. საფრანგეთის ჯარი კოლომბას ახლო დგას. პოლკოვნიკს დიუმულენს კარგად ვიცნობ და ადვილად გაგვიშვებს.

მორისო სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა.

— წავიდეთ, მზადა ვარ.

ისინი მცირე ხანს განშორდნენ ერთმანეთ მხოლოდ იმისთვის, რომ თევზის დასაჭერი იარაღი მოეტანათ თავ-თავიანთ სახლიდამ და შემდეგ წასულიყვნენ იქ, იმ მშვენიერს მდინარის ნაპირზედ, სადაც თევზებს იჭერდნენ.

ერთი საათის შემდეგ ორთავენი ერთად მიდიოდნენ დიდს გზაზედ და შეუხვიეს იქითკენ, სადაც პოლკოვნიკი დიუმულენი იდგა.

მათი თხოვნა რომ მოისმინა, დიუმულენმა გაიცინა, მაგრამ წასვლის ნება კი მისცა. მეგობრები ისევ გზას გაუდგნენ.

მათ გაიარეს ყარაულად დაყენებული ჯარები, კოლომბის აოხრებული არე-მარე და მივიდნენ სენის ნაპირზედ, რომელიც ვაზებით იყო დაბურული. თერთმეტი საათი იყო. მათ პირ-და-პირ სოფელი არ-ზანტელი მოჩანდა, მაგრამ გაუკაცრიელებულსა ჰგავდა.

სოვაჟმა თითი მაღლა აიღო და წაიჩურჩულა:

— სსუ! იქ პრუსიელები არიან.

მეგობრები ძალიან დაღონდნენ აოხრებული ადგილების დანახვაზედ და მტრის ახლოს ყოფით. პრუსიელები მათ თავის დღეში არ ენახათ, არც ომამდის და არც ომის დროს; მაგრამ ეხლა კი ისინი გრძნობდნენ მათს იქ ყოფნას. პრუსიელებმა ამას წინად აცნობეს პარიჟს თავის თავი, ყოველისფერი გააოხრეს, დასწვეს, გააჩანაგეს.

ორივე მეგობარს მტერი თუმცა ძალიან სძულდათ, მაგრამ ეშინოდათ კიდეც.

მორისომ წასჩურჩულა:

— მერე რა ვქნათ, ისინი რომ წინ შეგვეყარნენ?

— რა უნდა ვქნათ?—მიუგო უდარდელად სოვაჟმა,—ახალი თევზი შევუთავაზოთ.

მერმე მაინც ყოყმობდნენ, სოფლისკენ წასვლისა ერიდებოდათ: მიყრუებული არე-მარესი ეშინოდათ.

— წავიდეთ! . გზას გავუდგეთ!.. რისა გვეშინიან!..

— წავიდეთ; მაგრამ სიფრთხილით კი.

მეგობრები დაბურულს ვაზებში ძვრებოდნენ, მაგრამ მალი-მალ აქეთ-იქით იცქირებოდნენ. ცოტა მანძილიც უნდა გაევლოთ, რომ იქ მისულიყვნენ, სადაც თევზებს იჭერდნენ ხოლმე. საჩქაროდ გაიქცნენ და, რა მივიდნენ დანიშნულს ადგილს, გამხმარს ჩალიანში ჩასხდნენ.

მორისომ დედამიწას ყური დაადო, რომ შეეტყო პრუსიელები ახლოს ხომ არ დადიოდნენ; მაგრამ ვერაფერი გაიგო, ისინი მარტო ორნი იყვნენ, მხოლოდ ორნი და თევზაობაც დაიწყეს. მათ თვალ-წინ გაოხრებული კუნძული მარანტი მოჩანდა, პატარა სასტუმროს ფანჯარა-კარები დაკეტილი იყო და ყველასაგან თავ მინებებულსა ჰგავდა.

სოვაჟმა პირველად დაიჭირა თევზი და ძალიან გაეხარდა; შემდეგ მორისომაც დაიჭირა. დრო და დრო ხან ერთს ამხანაგს ამოჰყავდა წყლიდამ თევზი, ხან მეორეს. ნიშნებიდამ სჩანდა, რომ ბევრი თევზი უნდა დაეჭირათ.

ვერ წარმოიდგენთ რა ნაირ უხაროდათ ორივეს! კვალად ბედნიერნი იყვნენ, კვალად სიამოვნებდნენ თევზის ჭერით, რომელსაც კარგა ხანს მოკლებულნი იყვნენ. ოჰ, ბედნიერებავ! ოჰ, ალტაცებავ! ოჰ, ნეტარებავ! მზე ათბობდა ორივეს; სხვა აღარაფერი ესმოდათ, აღარაფერზედ ფიქრობდნენ; მთელი ქვეყანა დაივიწყეს: ისინი... თევზაობდნენ.

უეცრად რაღაც ხმაურობა გაისმა. ზარბაზნების სროლა ასტყდა. მორისომ მოიხედა და ერთს ადგილას ზარბაზნის ბოლი დაინახა. ზარბაზანს-ზარბაზანზედ ისროდნენ და მათი ბოლი არე-მარეს ეფინებოდა.

სოვაჟმა მხრები აიწია.

— უჰუ, რა ნაირ დაიწყეს სროლა.

მორისო ჯავრობდა, მაგრამ თავის ნემსკავს თვალს არ აშორებდა. იგი მშვიდობის მოყვარე კაცი იყო და ძალიან ბრაზობდა ატეხილს ომიანობაზედ.

— სულ სულელი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ხალხის ხოცვაში სიამოვნებას ჰპოვებს, ამბობდა იგი.

სოვაჟმა შეუშფოთებლად მიუგო

— ისინი მხეცებზედ უარესნი არიან.

მორისომ, რომელსაც ის იყო ჩანგალი უნდა ამოეკრა, უთხრა თავის ამხანაგს:

— ეს ყოველთვის ასე იქნება, სანამ მონარქიები არსებობენ...

სოვაჟი დასთანხმდა

— დიაღ, რესპუბლიკა ომს არ გამოაცხადებდა.

მაგრამ მორისომ მას სიტყვა გააწყვეტინა.

— იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მეფეებმა გარეგანი ომი იციან, რესპუბლიკამ კი შინაური.

მათ დაიწყეს ბაასი და სჯა პოლიტიკაზედ... ხშირად ერთი-ერთმანეთის აზრის თანახმანი იყვნენ.

ვალერიანის ხიდზედ კი ზარბაზნების ქუხილი ისმოდა, ინგრეოდა ფრანცუზების სახლები, ოხრდებოდა მინდორ-ველი, ბედნიერებას და ოცნებას ბოლო ეღებოდა, ფრანცუზების დე-

ირლანდიას. გლადსტონს არა ერთი და ორი რეფორმა შეუმუშავნია თვის მთავრობის დროს ირლანდიის ხვედრის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ის კონსერვატორები, რომელთაც დღეს ასეთის აღტაცებით ეგებებიან ირლანდიელნი, წინ ელობებოდენ ამ რეფორმათა, ხელს უშლიდენ გლადსტონს. დაუმსახურებელი სიძულვილი გლადსტონის ყოფილის სამინისტროსადმი ირლანდიელებმა, სხვათა შორის, შემდეგის გარემოებითაც გამოხატეს. ყოფილი ვიცე-კოროლი ირლანდიისა ლორდ სპენსერი ირლანდიის სატახტო ქალაქ დუბლინიდამ ამ დღეებში გამოვიდა. ირლანდიელებს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ლორდ-სპენსერს აცილებდენ.

იტალია. ამ დღეებში რომში მოხდა ერთი სასირცხო ამბავი: ბრაზილიის ელჩი «შულერობაში» დაიჭირეს. დიდი ხანია რომში ყველა ეჭვის თვალით უყურებდა ამ ელჩის «ოსტატურს» თამაშს. ქაღალდში მოგებულის ფულით მთელი სიმდიდრე შეიძინა ამ ელჩმა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ სახემწიფოს წარმომადგენელი იკადრებდა «შულერობას», ვინ წარმოიდგენდა, თუ იგი თვალთ-მაქცისებ ათამაშებდა თვის არისტოკრატიულს, განსპეტაკებულს ხელებში ბანქოს. მაგრამ დღეს ეჭვი გამართლდა, ელჩი დაიჭირეს «შულერობაში» და რომ სკანდალი რამ არ მომხდარიყო, წინადადება მისცეს, მაშინვე გასულიყო რომიდამ და სამაგიეროდ შეჰპირდენ, რომ ამ ამბავს არ გაახმაურებდენ. ელჩი ბაიბურშიაც არ შევიდა და იმავე კვირაში გულ-დამშვიდებით მიიღებს იტალიის მეფის მიპატიჟებას სადილზე. მაშინ მეფესაც აცნობეს ეს ამბავი. მეფემ იმწამსვე ტელეგრამით სთხოვა ბრაზილიის იმპერატორს დონ-პედროს გაეხმო რომიდამ თვისი წარმომადგენელი და იმპერატორმაც დაუყოვნებლივ გამოითხოვა სახემწიფოს შემრცხვენი ელჩი.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივნისის 26-ს.

პეტერბურგი. ბირჟის კომიტეტმა საბოლოოდ გადასწყვიტა რომ ამ დღიდგან ფასიანი ქაღალდების გაყიდვის და ყიდვის დროს, რომლებზედაც ადებულ უნდა იქმნას ხუთ პროცენტიანი ბეგრა, მყიდველმა უნდა გადაუხადოს გამყიდველს მიმდინარე კუპონების ფასი, მხოლოდ ხვედრი ბეგრა კი უნდა გამოირიცხოს,— მაშასადამე ბეგრას გადახდა გამყიდველის მოვალეობაა.

ლონდონი. პარლამენტმა პრინცესა ბეატრისეს მზითვად 30,000 გირ სტერლინგი დაუნიშნა.

პარიჟი. ფრანცუზების ჯარა გაუეში გამაგრდა, ანამიტელი ჯარები-კი დაათხოვეს. კოროლის სასახლეში, ხელოვნების მოყვარეთა ნაწარმოებთა გარდა, 5 მილ. გა[illegible] ქონება იწვა.

სტამბოლი. ანგორას გუბერნიაში ქარიშხალმა 300 მეტი სახლი დაანგრია.

### ბირჟა

პეტერბურგი ივნისის 25.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | 24/³₃₂ 24⁹/₃₂ 24¹/₉ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | 205 206 205¹/₄ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | 253³/₄ 254¹/₂ 254 |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 19 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 19 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 30 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | 5³/₄ და 6³/₄% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 98 მ. 87 კ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | 97 მ. 37 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 97¹/₂ მ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — — | 97¹/₄ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 97¹/₄ მ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — | 95¹/₄ მ. გაყ. |
| მეორე გამოც. — — | 94 მ. 87 კ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | 94 მ. 12 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | 225¹/₄ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | 214³/₄ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 170¹/₄ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. |
| | 43 წ. 88³/₄ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ სახვით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის

---

დების, ცოლების და ქალების გული იტანჯებოდა.

— ეს ცხოვრებაა!.. ჩაერობდა სოვაჟი.

— უმჯობესია სთქვა: სიკვდილია! მისცა ბანი მორისმა.

მაგრამ... ეს რა არის? ისინი შეკრთენ და გაჩუმდენ, ფოთლოს ფერი დაედოთ. მათ ზურგს უკან ფეხის ხმა მოისმა. შიშისაგან ველარ ბედავდენ უკან მიხედვას, მაგრამ როდესაც მიიხედეს ორს ნაბიჯზედ ოთხი კაცი დაინახეს თავიდამ-ფეხამდის შეიარაღებული, რომელთაც თოფები მხარზედ ჰქონდათ გადებული. ორივე ამხანაგს ნემს-კავები ხელიდამ გავარდათ და წყალმა წაიღო. რამდენმე წამმაც არ გაიარა, რომ მეთევზეები დაიჭირეს, ხელები შეუკრეს, ნავში ჩაყარეს და კუნძულზედ გადაიყვანეს. იმ სახლის უკან, რომელიც მათ ცარიელი ეგონათ, თურმე ოცი შეიარაღებული სალდათი იდგა. აფიცერმა, რომელიც ჩიბუხს ეწეოდა, ჰკითხა მათ ფრანგულად.

— აბა, რას იტყვით, ბატონებო, ხომ კარგად ითევზავეთ? აქ სალდათმა მის წინ თევზით სავსე ჰურჭელი დადგა. აფიცერმა გაიღიმა...

— ახლა კი ვხედავ, რომ კარგა გითევზავნიათ. . მაგრამ აი რა... ყური დამიგდეთ და ნუ შეგეშინდებათ.

— თქვენ ორივენი ჯაშუშები ხართ, ამას ლაპარაკი აღარ უნდა; თქვენ ჩვენს დასაზვერად გამოუგზავნიხართ, მე თქვენ ტყვედ დაგიჭირეთ და .. დაგხვრეტავთ. თქვენ თავს ისე გვაჩვენებდით, რომ თევზებს იჭერდით; მაგრამ მე სულელი არა ვარ, ან რა საჭიროა ესა. ხელში ჩამივარდით, უფრო ცუდი თქვენთვის, ეხლა ომია და ამისათვის.. მაგრამ, აი, საქმე რაშია: თქვენ, ყარაულად დაყენებულ ჯარების შუაში გამოვლილთ, უკან დასაბრუნებლად პიროლი (ნიშანი) გეცოდინებათ... ეს ნიშანი შემატყობინეთ და გაპატივებთ.

ორივე მეგობარი შიშისაგან კანკალობდენ და ხმა ვერ ამოეღოთ.

აფიცერი არწმუნებდა.

— არავინ არ გაიგებს; თქვენ უვნებლად დაბრუნდებით შინ; საიდუმლოება ჩვენ შორის დარჩება, მაგრამ თუ უარს მეტყვით, მაშინვე დაგხოცავთ. ორში ერთი ამოირჩიეთ... იფიქრეთ.

ისინი უძრავად გაჩუმებულნი იყვნენ.

პრუსიელი სიბრაზისაგან თავს იჭერდა და იმედს არა ჰკარგავდა მათ დასარწმუნებლად.

— მოიფიქრეთ, ხუთი წამის შემდეგ ამ წყალში გადაგყრით .. (აქ მან წყნარად ხელი გიუშვირა მდინარისაკენ). თქვენ რასაკვირველია, დედ-მამა გეყოლებათ... ან იქნება ცოლ-შვილიანებიც იყვეთ. .

ვალერიანის ხიდზედ კი ზარბაზნების სროლა ისმოდა.

სოვაჟი და მორისო გაჩუმებულნი იყვნენ. აფიცერმა სალდათებს უბრძანა... თორმეტი კაცი გამოვიდა ჯარიდამ...

— გამიგონეთ, მე თქვენ ერთს წამს კიდევ გაძლევთ მოსაფიქრებლად, უთხრა კიდევ აფიცერმა.

ისინი ჩუმად იდგნენ. მაშინ ოფიცერი ზეზედ წამოდგა, მივიდა მორისოსთან, დაუჭირა ხელი და ყურში უჩურჩულა:

— ჩქარა. .. ნიშანი მითხარ. შენი ამხანაგი ვერაფერს გაიგებს და გადარჩები.

მორისომ არაფერი უთხრა.

პრუსიელმა სოვაჟი გაიხმო და იგივე წინადადება მისცა.

სოვაჟმა ხმა არ გასცა.

მაშინ ისინი ერთად დააყენეს. ბრძანება მოისმა და სალდათებმა თოფები დაუმიზნეს.

მორისომ შეხედა დაჭერილს თევზებს, რომელნიც მზის სხივზედ ბრწყინავდენ. მას გული აუდუღდა. თუმცა ცდილობდა სიმხდალე არ შესტყობოდა, მაგრამ თვალები მაინც ცრემლებით აევსო.

— მშვიდობით, სოვაჟ!. ძლივს წარმოსთქვა მან.

— მშვიდობით, მორისო! მიუგო მან.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, კანკალობდენ და ფეხზედ ძლივს იდგნენ.

— ესროლეთ!.. დაიძახა აფიცერმა.

თორმეტი თოფი ერთად გავარდა.

სოვაჟი პირქვე დაეცა; მორისოც დატორტმანდა და თავის ამხანაგს ზემოდამ დაეცა

ახალი ბრძანება გაიცა. სალდათებმა თოკი და ქვები მოიტანეს. დახვრეტილი მეგობრები შეკრეს და წყლის ნაპირს მიიტანეს.

ვალერიანთან ზარბაზნების სროლა ისევ ისმოდა.

ორმა სალდათმა მორისოს თავში და ფეხებში წაავლეს ხელი, სხვა ორმა სალდათმაც სოვაჟს. ორივენი წყალში გადაჰყარეს და მაშინვე დაიძირა, რადგანაც ქვები ჰქონდათ მობმული. მდინარე ცოტა ხანს შეღელდა მათს გადაგდებაზედ, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ-კი ჩვეულებრივ დამშვიდებული მიდიოდა...

— ისევ თევზებს დაუბრუნდით... სთქვა სიცილით აფიცერმა. როდესაც მან დაჭერილს თევზებს დახედა, გაიღიმა და დაიძახა:

— ვილჰელმ!

მის წინაშე თეთრ ფართუკიანი სალდათი წადგა.

— წაიღე ეს თევზები და მოხარშე, სინამ ცოცხლები არიან... გემრიელი რამ იქნება.

ვილჰელმა წაიღო სოვაჟის და მორისოსაგან დაჭერილი თევზები, აფიცერმა-კი კვალად ჩიბუხს დაუწყო წევა.

წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ჩამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 თიბათვიდამ 1 კათათვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაური ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ |

**მროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 15 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 8 კ |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 | — | გ. |

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**

8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**

10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**

10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**

8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**

8 საათზედ 24 წამ. დილით.


# განცხადებანი

ევროპის ბაღში



დღეს ივნისის 28-ს.

ფიზიკოსი ვ. დერინგი

გამართავს

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს

დაწვრილებითი ცნობანი აფიშაში იქნება.

დასაწყისი 8 საათ.

## ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად,ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის ქილა, საწყაო, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასადათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, კიპულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—23)

# შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(Ц. 2542).

(46—20)


### თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

მმართველობა თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ, რადგან 1885 წ. ივნისის 22-ს დანიშნული ვაჭრობა არ მოხდა, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1885 წ. ივლისის 6-სათვის, შუადღის 12 საათ., ბანკის სადგურში, სოლოლაკის ქუჩაზე, თავადის გრუზინსკის სახლებში, № 13, ქვემოხსენებულ პირთ მამულებზე:

შადინოვი, ვასილ დავითის ძე. გაუშენებელი ადგილი ზომითი—171 საჟ 1 არშ. და 176 გოჯა,—მე 4 ნაწ., 1 განყოფ. ქ. თბილისს. თავნი ვალი 5,542 მან. 85 კ. შემოსატანი 298 მან. 90 კ. სულ 5.841 მან. 75 კაპ.

მანუკლოვი, ნიკოლოზ ავეთის-ძე ორ-სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, $27^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მთაწმინდის ქვემოთ, თავნი ვალი 2799 მან. 99 ქ. შემოსატანი 187 მან. 12 კ.—სულ—2987 მან. 14 კ.

თუმანოვი, სიმონ თომას-ძე: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი $24^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. ალექსანდროპოლში, მე-7 უბანში. თავნი ვალი 3733 მან. 22 კ. შემოსატანი 247 მან. 79 კ. სულ—3981 მან. 1 კაპ.

ციციშვილი, გიორგი ივანეს-ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილი და ტყე, ადგილის ზომა $96^1/_2$ დესეტინა; თბ. გუბ. და მაზრაში, ბორჩალოში, ახლალალულში, თავნი ვალი 15,593 მან. 64 კ. შემოსატანი 2131 მან. 40 კ. სულ—17,725 მან. 4 კაპ.

მელიქოვი, მიხეილ ივანეს-ძე, სახნავი სათიბი და ტყე, 1041 დესეტინა 500 ოთხ-კუთხი საჟ. თბილისის გუბერნიაში და მაზრაში არაბატალა, ფალიან-თაქიანი და სხ.—თავნი ვალი 7716 მან. 15 კაპ., შემოსატანი 471 მან. 22 კაპ. სულ 8187 მან. 37 კაპ.

გამაზოვი, არტემ ისაკის-ძე. სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილები და ტყე, ზომით 793 დესიატ. და 2092 ოთხ-კუთხი საჟ., თბილისის გუბ., ბორჩალოს მაზრაში, აგ. სოფ. სარაჩლოში, თავნი ვალი 14,884 მან. 10 კაპ. შემოსატანი 648 მან. სულ—15,532 მან. 10 კ.

მელიქ-შახნაზაროვები, მარგარიტა კარაპეტის ასული და პეტრე და პავლე დიმიტრის-ძენი. სახნავი და საძოვარი ადგილები, ზომით 950 დესიატ. და 275 ოთხ-კუთხი საჟ, ელისავეტოპოლის გუბერნ. და მაზრაში, აგ. ყარაარხში. თავნი ვალი 19,676 მან. 58 კ. შემოსატანი 860 მან. სულ—20,536 მ. 58 კ. (1—1)


ამა წლის, ივლისის 1-დამ სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, გაიხსნება საწყობი

ფაბრიკისა

# ი. და პ. კოატს

პაისლეიში

# კოჭის ძაფის

დაკლებულის ფასებით

# აგენტი ფერდ. ეგნერი

(6—4)


წარმოვიდგენთ ჩვენს ქარხანას.

# იგი:

მართავს ყოველ გვარისა და ზომის ქარხნებს

—

ხელ-ახლად მართავს და დაშლის უკვე გამართულს ქარხანას, ანა და რომელიმე ნაწილს ქარხნისას

—

ამუშავებს გაუქმებულ მაშინებს და მართავს ახალს უფრო მოსახდენი სისტემის ფაბრიკებს.

აძლევს შემოსავალ-გასავლის პროექტებს უმთავრესისა და როულის გეგმებით

—

აკეთებს მაშინებს, ორთქლის ქვაბებს, აპარატებს

და რაციონალურ მოწყობილობას და შესანიშნავის სისტემის ყოველ-გვარ მორთულობას..

—

იძლევა რჩევებს ყოველ-გვარ ტეხნიკურს საგნებზე.

ადრესი: დობვროვსკი, სამანქანო ქარხანა, დომბროვში, პეტროკოვსკის გუბ. ვარშ.—ვენის და ივანგ. დომბროვ. რკ. გზ. სტანცია. (3—2)